2-12868/21
12-10-2021

საქართველოს პარლამენტის ბიუროს,

შპს „ალმას“

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის
დასკვნა

შპს „ალმას“ (გიორგი ტრაპაიძე) მიერ წარმოდგენილ საკანონმდებლო წინადადებაზე „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტთან დაკავშირებით (N1-13391/21; 04.10.2021)

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 2021 წლის 8 ოქტომბრის კომიტეტის სხდომაზე განიხილა შპს „ალმას“ (გიორგი ტრაპაიძე) მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტთან დაკავშირებით (N1-13391/21; 04.10.2021).

I. საკანონმდებლო წინადადების ძირითადი არსი

საკანონმდებლო წინადადებით შემოთავაზებულია, რომ შემუშავდეს და მიღებულ იქნეს სათანადო საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფს საარჩევნო სფეროში სიძულვილის ენის შემცველი, საზოგადოების პოლარიზაციისა და მასში აგრესიის გამომწვევი, არაეთიკური და შეურაცხმყოფელი პოლიტიკური სარეკლამო ბანერების მუნიციპალიტეტებში განთავსების თავიდან აცილებას.

II. კომიტეტის შეფასება

კომიტეტი მიიჩნევს, რომ საარჩევნო სფეროში სიძულვილის ენის გამოყენებისა და ღირსების შემლახავი ქცევისა და გამონათქვამების პრევენციის საკითხის მოწესრიგება, ზოგადად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამ საკითხის სათანადოდ მოუწესრიგებლობა იწვევს, ერთი მხრივ, პოლიტიკურ პარტიებს შორის მწვავე დაპირისპირებას, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოების პოლარიზაციასა და მასში აგრესიის გაღვივებას. აღნიშნულ პრობლემასა და მისით გამოწვეულ დაძაბულ საარჩევნო გარემოზე მითითებულია აგრეთვე ცალკეული ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოს მიმართ შემუშავებულ ანგარიშებსა და მათ მიერ განხორციელებულ შეფასებებში.[1]

წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) ორიენტირებული უნდა იყოს საარჩევნო სუბიექტების მიერ მათი მომავალი საქმიანობის პროგრამების შემუშავებასა და ამომრჩევლისთვის გაცნობაზე, რაც ამომრჩეველს მისცემს ინფორმირებული არჩევანის განხორციელების შესაძლებლობას და მინიმუმადე შეამცირებს საზოგადოების პოლარიზაციის რისკებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კომიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს მოცემულ საკითხზე მსჯელობის დაწყებას, რაც საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილ ადამიანის ძირითად უფლებათა გათვალისწინებით ორიენტირებული იქნება საარჩევნო სფეროში სიძულვილის ენის გამოყენებისა და აგრესიის პროპაგანდის პრევენციაზე, ღირსების შემლახავი და ადამიანის დამამცირებელი შინაარსის შემცველი ინფორმაციის გავრცელების თავიდან აცილებაზე. ეს კი საბოლოოდ ხელს შეუწყობს ადამიანებში ზიზღის გაღვივების წახალისებისა და საზოგადოების პოლარიზაციის შემცირებას და, შესაბამისად, უკეთესი საარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებას.

ამრიგად, კომიტეტი დადებითად აფასებს წარმოდგენილ საკანონმდებლო წინადადებას და მის მიღებას მიზანშეწონილად მიიჩნევს.

III. დასკვნითი ნაწილი

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა შპს „ალმას“ (გიორგი ტრაპაიძე) მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო

---

[1] იხ. https://www.osce.org/files/f/documents/5/5/299306.pdf
https://www.osce.org/files/f/documents/f/a/375682.pdf
https://www.osce.org/files/f/documents/a/c/414827.pdf
https://www.osce.org/files/f/documents/d/9/499477_0.pdf
https://gyla.ge/ge/post/saiam-2021-tslis-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebis-grdzelvadiani-sadamkvirveblo-misiis-me-2-shualeduri-angarishi-moamzada#sthash.Eya8mA8M.dpbs
https://isfed.ge/geo/angarishebi/saqartvelos-munitsipalitetis-organota-2021-tslis-archevnebis-tsinasaarchevno-garemos-ertoblivi-shefaseba
https://transparency.ge/ge/post/media-zaladobisa-da-totaluri-ukanono-mosmenebis-samizne-cinasaarchevno-mediagaremos-shepaseba
https://transparency.ge/ge/blog/ganaxlebadi-cnobebi-saarchevno-dargvevebi-da-matze-reagireba-0

კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტთან დაკავშირებით (N1-13391/21; 04.10.2021) საკომიტეტო განხილვის შედეგად ცნო მიღებულად.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ანრი ოხანაშვილი